ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია

დასკვნა:**დ05. 3724029001**
თარიღი:**29/01/2024**

დასკვნა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027 წლების)- დამტკიცების შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის (2024-2027 წლების)“- დამტკიცების შესახებ და დაადგინა (შემდგომში დოკუმენტი):

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი-ს (2024-2027) შემუშავებულია ანალოგიური ტიპის დოკუმენტების დამტკიცებისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლებზე დაყრდნობით. კერძოდ, დოკუმენტის შემუშავება დაფუძნებულია შემდეგი სამართლებრივ დოკუმენტებზე:
   - საქართველოს კონსტიტუცია;
   - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
   - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
   - საქართველოს მთავრობის #264 განკარგულება (მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელო, 2022 წლის 15 თებერვალი).

   დოკუმენტი სრულად პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს და მათ ბაზაზე შემუშავებულ მუნიციპალიტეტის განვითარების შესაბამის პროგრამებს, გეგმებსა და ღონისძიებებს.

2. დოკუმენტით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების სრულმასშტაბიანი განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას, გარემოს დაცვით მდგრადობას და მუნიციპალიტეტის ციფრულ მმართველობას.

3. კომისიამ დაადგინა: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027) განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი